

საიდ. №68671/03  
IR 1123956

### გ ა დ ა ო რ ი რ ი ა ტ ი ლ ე ბ ა №176-03/13

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ე. ეგუტია (თავმჯდომარე), ე. ქემაშვილი, მ. ბაკურაძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანია „სოსიეტე დე პროდუი ნესტლე ს.ა.“-მ (Société des Produits Nestlé S.A.) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №176-03/13), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 08 ივლისის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ №1527/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „LA PIZZERIA“ (საიდ. №68671/03 IR 1123956) დაცვის მინიჭება საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (30-ე კლასი).

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 08 ივლისის №1527/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარდგენილი ნიშანი "LA PIZZERIA" (გამოსახულება) ქართულად ითარგმნება როგორც "პიცერია" და 30-ე კლასის განცხადებული საქონლის მიმართ აღწერილობითია, ვინაიდან შედგება საქონლის მსოლოდ სახეობისაგან, რის გამოც განცხადებულ ნიშანს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე განცხადებული საქონლის სრული ჩამონათვალის მიმართ.

აპელანტი კომპანია „სოსიეტე დე პროდუი ნესტლე ს.ა.“ არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, განცხადებულ სიმბოლოს „LA PIZZERIA“ შეუძლია იარსებოს სასაქონლო ნიშნის სახით განცხადებული საქონლის მიმართ და არ წარმოადგენს მსოლოდ გაყინული პიცის ზოგად გამოხატულებას. მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი „PIZZERIA“ (პიცერია) შეესაბამება იმ ტიპის რესტორანს, სადაც იყიდება პიცა, აღსანიშნია, რომ ეს ტერმინი შეიძლება გამოყენებული იქნას გაყინული პიცის სეგმენტშიც. აპელანტის მითითებით, ხელით დამზადებული პიცის საწინააღმდეგოდ, გაყინულ პიცას ამზადებენ სამრეწველო წესით და მიირთმევენ სახლში. აღნიშნული განსხვავება კარგად არის ცნობილი მომხმარებლისთვის რომელიც ზუსტად ხვდება, რომ გაყინული პიცა, რომელიც ატარებს სახელს „LA PIZZERIA“ არ არის დამზადებული პიცერიაში. არამარტო ტენმინი „PIZZERIA“ არის უჩვეულო გაყინული პიცის განმასხვავებლად, არამედ თავსართიც, არტიკლი „LA“. ამგვარად, სიმბოლო „LA PIZZERIA“ არის ქარაგმული სიმბოლო და არ აღწერს იმ ადგილს, სადაც უნდა გაიყიდოს ნაწარმი, მის სიმბოლოურობას ისიც ადასტურებს რომ მომხმარებელი არ მიდის რესტორანში ან პიცერიაში გაყინული პიცის საჭმელად და მომხმარებელი არ აიგივებს პიცერიას გაყინულ პიცასთან, რომლის რეალიზაცია ხდება მაგალითად სასურსათო მაღაზიებში. აპელანტის მითითებით, განცხადებული სიმბოლო არაა აღწერილობითი განცხადებული საქონლის მიმართ. გრაფიკული თვალსაზრისით შერჩეულია აშკარად ესთეტიკური შრიფტი. იგი

შედგება ტალღოვანი ასოებისგან, რაც ქმნის ხრამუნა პროდუქტის შთაბეჭდილებას. ასოების, თეთრი ფერის, შემოგარსული შავი ფერით და განთავსებული მწვანე ფონზე, არასტანდარტულობა და ორიგინალობა შეადგენს სიმბოლოს მკვეთრად განმასხვავებელ ელემენტს, რაც დიდ როლს თამაშობს სხვა საწარმოების ნიშნებისგან გამორჩევის მიზნით. აქვე აღვნიშნავთ, რომ აპელანტის განცხადებული ნიშნის მსგავსმა საერთაშორისო ნიშანმა რეგ. №1110597 მიიღო დაცვა საქართველოში და აშკარაა, რომ „LA PIZZERIA“ წარმოადგენს აპელანტის სერიულ ნიშნებს. აპელანტის მითითებით, განცხადებული ნიშანი რეგისტრირებულია, შვეიცარიაში, უკრაინაში, მექსიკაში, კოლუმბიაში. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 08 ივლისის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ №1527/03 ბრძანების ბათილად ცნობას და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „LA PIZZERIA“ (საიდ. №68671/03 IR 1123956) დაცვის მინიჭებას საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ „აღწერილობითია იმ საქონლის მიმართ, რომლისთვისაც მოითხოვება მისი რეგისტრაცია, შედგება საქონლის მხოლოდ სახეობის, ხარისხის, რაოდენობის, თვისების, ღირებულების, დანიშნულების, გეოგრაფიული წარმოშობის, გასაღების ადგილის, დროის ან საქონლის სხვა მახასიათებლებისაგან ანდა მიჩნეულია ასეთად“.

სააპელაციო კოლეგია ვერ გაიზიარებს აპელანტის პოზიციას და მიიჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი „LA PIZZERIA“ (საიდ. №68671/03 IR 1123956) წარმოადგენს აღწერილობით სასაქონლო ნიშანს 30-ე კლასის განცხადებული საქონლის მიმართ, რადგან სასაქონლო ნიშნის სიტყვიერი ნაწილი „LA PIZZERIA“ შესრულებულია ლათინურად, სადაც სიტყვა

„PIZZERIA” საერთაშორისო სიტყვაა და ყველა ენაზე დამკვიდრებულია, როგორც პიცის რეალიზაციის ადგილი და ნიშნავს „პიცერიას” ანუ პიცის რესტორანსა თუ კაფეს. ხოლო განცხადებულ სასაქონლო ნიშნის სიტყვიერი აღნიშვნა „LA” წარმოადგენს წინდებულს იტალიურ და ესპანურ ენებზე, რომელიც წინ ერთვის არსებით სახელს. განცხადებული ნიშანი პირდაპირ მიუთითებს და აღწერს 30-ე კლასის განცხადებული საქონლის ჩამონათვალს, კერძოდ პიცებს, არ აქვს მნიშვნელობა პიცა გაყინულია თუ რომელიმე პიცერიაშია დამზადებული. ნებისმიერი ტექნოლოგიით დამზადებული პიცისთვის წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს აღწერილობით ნიშანს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ” ქვეპუნქტით გათვალისწინებულ განცხადებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „LA PIZZERIA” (საიდ. №68671/03 IR 1123956) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველს.

სააპელაციო კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტით და

#### გ ა დ ა წ ე კ ი ტ ა :

1. კომპანია „სოსიეტე დე პროდუი ნესტლე ს.ა.”-ს (Société des Produits Nestlé S.A.) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ძალაში დარჩეს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 08 ივლისის №1527/03 ბრძანება საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ.

3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. მცხეთა სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობიდან/ჩაბარებიდან ერთი თვის განმავლობაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:

ე. ეშუტია

წევრები:

ე. ქემაშვილი

მ. ბაკურაძე